



65. რუკიათა (მარია) ჯაბათხანოვი, სოფელი თივი (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Rukiata (Maria) Jabatkhanova. The village of Tivi (Photo by Ts. Goderdzishvili)

რუკიათა: „...დედაც მახსოვს და მამაც. მამაჩემს მათიაშვილი ქვოდა, ქართული გვარი ქონდა. მანდ (ახალსოფელში) ერთი დიდი კაცი იყო მათიაშვილი, სურათებ იღებდა, ის მეტყოდა ხოლმე, ბიძაშვილოო და ავტობუსში ფულს მიხდიდა. მამაჩემი საბჭოში მუშაობდა, საკირეს უფროსადაც იყო. მთელ ქართველებმა იცოდა ეგ. მახმა-და ალიბეგოვი მე ლეკურად ვიძახი, თორე, არი მათიაშვილი მახმადა, სუ ქართულად ეწერებოდა. რა ვიცი, მამა იყო ქართველი თუ დედა იმისი, პირველკლასელი ვიყავ,

Rukiata: „...I remember both my mother and father. My father's last name was Matiashvili, a Georgian surname. There (in the village of Akhalsopeli) was an outstanding man, Matiashvili, who used to take photographic pictures, and whenever he noticed me riding he used to tell me: "You're my niece" and paid my bus fare. My father was a community council member; he also worked in a small lime burning enterprise. All of Mahmud Alibegov's documentation identified him as a Georgian. If I'm not mistaken, I was just in the first grade



რო მოკვდა და იმდენი ხო არ ვიცოდი, მე-
კითხა. ხოდა, წავიდა ერთხელ მთაში და
ერთი თვე რო გახდა, მოკვდა მამა იქ. ათი
დღის მერე დედაც მოკვდა. მაშინ ხო ტი-
ფობა იყო. ბევრი ხალხი დახოცა ამ ომის
დროზე. დავრჩით ორი ბიჭი და ორი გოგო.
ჩვენს გარდა ერთი უფროსი ძმა იყო კიდე.
დედაჩემს უფროსი ძმის მერე მუცელი მო-
ეშალა, ალბათ, ის გაზრდილი იყო, მე რო
ვეყოლე. ის უფროსი ძმა ომში წაიყვანეს.
ჯერ თბილისიდან გამოაბრუნეს, ორჯერ-
სამჯერ ბაქოდან გამოაბრუნეს, ობოლი
ბავშვები არიან, შამნახავი არავინა ჰყავ-
თო და უკან უშვებდნენ. ის თავის განცხა-
დებით მაინც წავიდა ომში. არ მოიდა. ხო-
და დარჩა ჩემზე ეს: წლინახევარის ერთი
ბაღლი, ორწლინახევარის მეორე, სამწლი-
ნახევარისა და მე კიდე იმის გამოყოლე-
ბით, პირველკლასდამთავრებული ვიყავი.
სამი-ოთხ ძროხა იყო ჩვენი, ერთი ძროხა
დაუკალი მამაჩემზე, ერთი ძროხა დედა-
ჩემზე დაუკალი და ორი დარჩა. მერე ერთი
ძროხა, ძალიან რომ გაგვიჭირდა, გავყიდე.
იმ ერთი ძროხისა ფული მქონდა მე შანა-
ხული. ერთი ძროხისა ხან რძეს გავყიდდი,
ხან კი თავთავის დასაკრეფად წავიდოდი
ხოლმე. ეს ყარაულები თავთავის საკრეფა-
დაც არ უშვებდა მაშინ, შიმშილობა რო
იყო. მე და ჩემი და გავიპარებოდით, ნაქ-
ცეულ ვიყავ მინაზე, როცა ყარაულ და-
ვინახავდით, ხან დავიმალებოდით ჯაგებ-
ში. ხან ცოტას მოვიტანდით, ხან ცარიელე-
ბი მოიდოდით შინ. როგორც თქვენ მიგაქვთ
საყდარში ფული, ქათამი, ნათქვამი რო
გაქვთ, ეგრე ჩვენი ხალხი ზოგი ფქვილს
მაძლევდა, ზოგი ყველს. თან კითხვა ვის-
წავლე და ამ მკითხაობაზეც მაძლევდნენ
ზოგი შოთი პურს, ზოგი ლობიოს. ომში წა-
სული ხალხისთვის მაკითხებინებდნენ,
ობოლი რო ვიყავი, იცის მაგანო და... ხან

(and there was no way I could ask so many
questions), and how could I know the answers
to this type of questions about his background:
He went into the mountains and reposed after
a month; my Mom followed him in ten days.
Do not forget it was the time of typhoid out-
break. Many people died during this war
(World War II). As for us, two boys and two
girls survived. Besides us, there was my other
elder brother. After giving birth to him, Mom
had one miscarriage. The abovementioned sur-
viving elder brother must have been an adoles-
cent when I was born. Then he was drafted.
During the war, he was dismissed first from
Tbilisi, then twice or thrice from Baku, on the
grounds that orphans had no one to take care
of them, and, thus he wound up taking care of
us. Nevertheless, he remained in service, and,
thus, I remained in charge of a year-and-a-
half-old infant, a two-and-a-half-year-old
child, and a three-and-a-half-year-old baby;
keep in mind that I was just a first grade gradu-
ate middle school at the time. We owned just
two-three cows, I sacrificed one of them in my
father's commemoration, another in my
mother's, and thus we ended up with only two
cows in the household. Then, when we found
ourselves in desperate need, I sold the third
cow, too. I saved the money from that cow. I
used to milk the last remaining cow, and gather
grains once in a while. Because the existing
famine of that time, the guard would not let
people go into the fields and gather grains; so
my sister and I used to sneak into the field, lie
on the ground or hide in the thorny bushes,
whenever we noticed the guards. Sometimes,
we managed to gather some grains, but some-
times we ended up with nothing on our hands.
Just as some of you bring money, chickens to
the church as a vowed tithe, so did some



67. ფატიმათი, სოფელი თივი (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Phatimat, The village of Tivi (Photo by Ts. Goderdzishvili)

ვმუშაობდი, ნავიდოდი თქვენ ხალხთან ზოგი ვენახში სამუშაოდ, ზოგს შემა რო უნდოდა, პატარა გუდურით შემას მოუტანდით ნყლიდან და ხან ერთ ჯამ ფქვილში გამიცვლიდნენ, ხან ერთ ჯამ წნილში. თუ არადა, ჩვენ არ ნავიდოდით სხვის კარებზე, სულაც არ ნავიდოდით. ძალიან შიმშილობა რო იყო, ქატო ხო გვექონდა, ქატო, ამ თავგების კურკლიან ქატოს, ნიავეზე გაუშვებდი და თავის კურკლებს ვკრეფავდი იქიდან, როგორც ბრინჯი ავარჩიო. გავრეცხავდი დარჩენილ ღერლს, დავკრეფავდი ბევრ ჭინჭარს და ფაფას ვაკეთებდი. იმ უმარალო ფაფას ვჭამდით ბავშვები და მე. ობოლის დროზე ხორცი რო მინდო-

people bring us flour, and others cheese. Also, I learned fortune-telling, and for this type of service some people paid me in bread, others in beans. They asked me about those gone to war; they used to say, "She's an orphan, she must know..." I worked: helped some of your people (Georgians) in the yard; carried firewood in a small sack from the riverside and exchange it sometimes for a bowl of flour, or for a bowlful of pickles. Other than that, we would never go door to door begging, no way! Even when the famine was extremely harsh, we still had bran; that bran mixed with mouse poop: I would spread it and separate the bran from the poop, just like I used to sort out rice. Then I would wash the bran, pick a lot of nettle and cook porridge with it. My children and I would eat that unsalted porridge. When I was absolutely on my own, I would never turn to my neighbors for help even when I needed meat or salt. I just ate my meals unsalted. That is how tough my life was while I was growing up. That is how "easily" I made it through and brought up those little kids.

Two years later, they took everyone to Chechnya. It was forty-two or forty-three of them, I do not remember exactly. They arrived in our village in your cars, Georgian cars. They took everyone, nobody was left, nobody. When a car arrived to pick up people, my father's niece: my cousin took us to her place. First, they drove the people by car to Tznori; then they put them on a train. What a mess it was! As it turned out, the Chechens were against war, so they were forcedly transmigrated. We found empty houses when we got there; corn husks were all over the place. Some of the houses were burned down; others packed with the belongings of the local Chechens. They offered some of us rugs, tinware, kitchen-

და, მარილი რო მინდოდა, მეზობელთან არ ნავიდოდი, იმასაც უმარილოდ ვჭამდი. ესე ტანჯვით ვარ გაზრდილი. ეგრე იოლად გაიყვანე ეს ბალები.

ორი წლის მერე ჩაჩანში გაგვრეკეს. ორმოცდაორი თუ ორმოცდასამი იქნებოდა, ეგ ზუსტად არ ვიცი. სოფელში მოვიდნენ თქვენი მანქანებით, ქართველების მანქანებით. არავინ არ დატოეს, არავინ. მანქანა რო მოიდა ხალხისთვის, მამაჩემის ძმიშვილი იყო ქალი, ჩემი ბიძაშვილი, იმან თავისთან ერთად წაიყვანა ჩვენ. ჯერ მანქანით წაიყვანეს ხალხი წნორამდინ, მერე მატარებელზე ჩასვეს. იი, რა ამბავი იყო! იქ, თურმე, ჩაჩნები ომის წინააღმდეგები ყოფილან, ხოდა გადაასახლეს. ცარიელი სახლები იყო, რო მივედით. ადგილებზე იყო სიმინდები დადებული, ქეჩეჩი. ზოგი სახლი დამწვარი იყო, დანარჩენი სახლები „ვეშიჩი“ სავესე. ომში ვისაც კაცი ყავდა, იმათთვის ხალიჩებ აძლევდნენ, თუნგებ აძლევდნენ, ჭურჭელს. ჩვენ არ ავიღეთ. სხვის რამე რათ მინდა, მე უთხარი, ცოდვიანი. ჩაჩნები ხო მოკლეს, ზოგი მოკლეს, ზოგი ზღვაში ჩაახრჩეს, ზოგი ყაჩაღობაზე წავიდნენ იმათი ხალხი, გაყარეს. ობლები ვიყავით, მაგრამ იმათი არაფერი არ ავიღეთ. ჩვენი ხო იყო წამოღებული, ზოგი ლოგინი წავიღე, ბევრი რამე ვერც წავიღე, როგორ წავიღებდით პატარა ბალები. ჩვენი ლოგინი დავყარეთ იქ. სამი სახლი მამცეს, მაგრამ ჩვენ ვერ მოიწონეთ იმათი ბინა, ქალაღები მოდიოდა, წერილები, ჩვენი შაღობილი ლობეები არ შაცვალოო, ჩვენ სახლებზე არაფერი ზიანობა არ გააკეთოო, ჩვენ თოფებით ვართ ტყეშიო, ინერებოდნენ რუსულად და არ შაშინდებოდი შენ? ერთხელ, მართლაც, წისქვილში რო მივედიოდი, ოცდახუთმეტი კაცი იყო თოფებით, დავინახე, ტყიდან გამოიდნენ

ware that belonged to the Chechens. We refused to take anything. I said, "It's sinful to appropriate somebody else's things." For they slaughtered the Chechens, some were shot, others were drowned in the sea, some turned to robbing, and some were forcedly displaced. We were orphans, yet, we never touched a single thing belonging to them. We had some of our belongings with us, I brought some bedding; I could not bring much, though; after all, we were just little children. We put our bedding down. They gave us three houses to use, but we felt uncomfortable staying there because we kept receiving notes and letters written in Russian and warning us not to touch the fences or damage the houses in any way, they wrote, "We're armed and hiding in the forest." Naturally, we got scared. Indeed, one time, when I was going to the mill, I noticed thirty-five men armed with guns: they came out of the forest and disappeared. They wore ox skin caps. The bandits frightened me, and I would put a piece of plywood that I used to place under my bedding and lie down in hiding. That's how that winter passed. I would hide as soon as it became dark. The children were so frightened that they would wet themselves and tremble all through the night. One time, they dug under one of the neighboring houses. Six or seven Chechens on horses arrived and kicked out the residents. They dug in the center of the house, found rifles, daggers, silver, kitchenware three or four meters deep in the ground, took it all and disappeared in the night.

We spent one winter there. We did not even know where the pharmacy was there; after all, we were strangers in a strange village. There was nobody to take care of us.



და ნავიდნენ. ხბოს ტყავის ქუდეები ეხურათ. ყაჩალიდან შაშინებული „კრაოტქეემ“ ფიცარ დაუდებდი და ტანსაცმლით იქ მინაზე ვინვებოდი დამალული. ის ზამთარი ისე ნავიდა, დამალული ვიყავი, როგორც კი დაბინდებოდა. ბავშვებ კიდე ფსელ მოდიოდა შიშისგან, გათენებამდინ კანკალებდნენ. ერთხელ ერთ მეზობელი სახლი გაითხარა, სახლიდან ღამე ხალხი გადაყარეს თოფებით, ექვსი-შვიდი კაცი მოიღოდა ჩაჩნები ცხენებით. მოიდნენ გამოთხარეს სახლის შუა ადგილი და ერთი სამ-ოთხ მეტრომდინ ღრმად იყო დადებული თოფები, ხანჯლები, ვერცხლები, ჭურჭელი, ხალიჩები და წაიღეს ღამე.

ერთი ზამთარი ვიყავით იქ. იქ ხო არ ვიცოდით ჩვენ, აფთიაქი საით არი, იმ

The youngest boy, a very nice kid that I was raising had worms in his nose and mouth; pretty large oval boils covered his whole body. Sometimes, went I went to the mill with a bucket over my shoulder (it was very far and when I would leave there early in the morning, I returned only late at night), I stayed there overnight. So, one morning after I got home in the morning, this ill brother of mine told me, "I wish I had some lamb, so I could cook it; I want meat." As it turned out, worms make their victims crave meat, and especially fatty food. So, I took flour in a large half-a-liter bowl to one of my neighbors, an elderly lady, and asked her to give me some soft cheese and butter. The kid wants meat, so I'll feed him this instead. So, that woman gave me cheese and butter, and I started cooking *khinkali*. When the meal was ready, I brought it to the child to eat, "Look, I prepared *khinkali* and I have butter for you." But I found him dead; the child had died. The worms choked him up. He must have been at least six or seven. His schoolmates dug a grave for him. There was nobody left to do the job. Everyone had gone to war. No grownups were left, even one fifteen-years old boy volunteered: "How can I stay here while everyone has gone to war!" My cousin and I carried the body to the road. Then the local teacher and her students took over and... I didn't even attend my brother's burial. Yet, when he was gravely ill, this brother of mine told me, "If I die and you end up returning to our home village, use my share of the money we have left after selling our cows to pay the driver. Do not leave me here, transfer my body there; after all, my mother is buried there, too." That little child, that kid asked me, "I beg of you, my sister, do not leave me here. You've been like a mother to me, do not leave me



ახალნასულებმა უცხო სოფლებში, ჩვენი მომლელი არავინ არ იყო. პატარა ძმას, მე რო ვზრდიდი, ძალიან კარგი ბიჭი იყო, ცხვირიდან მოიდა ჭიები, პირიდან მოიდა ჭიები, ბიბლიები დააყარა ზედ ტანზე, როგორც ბურთისავით ბიბლიები დააყარა. ერთიც, მე წისქვილში წავედი, შორი იყო, დილით რო წავიდოდი, შუადღემდე არ მოვიდოდი, ისე შორს იყო. ერთი ვედრას ავიკიდებდი ხოლმე, წავიდოდი, დავრჩებოდი ღამე და მერე უკან ვბრუნდებოდი. ხოდა რო მოვედი, ეს ჩემი ძმა, ჭიით ავად რო იყო, მეუბნება, ნეტა ცხვრის ხორცი ჩემს ხელთ იყოსო, გავაკეთო და ვჭამოო, ხორცი მინდაო. თურმე ჭიას ხორცი ყვარებია, ქონიანი. ხოდა, ფქვილი წავიღე დიდი ნახევარლიტრიანი მათლაფით. წავიღე ერთ ჩემ მეზობელთან, ბებერ ქალთან, უთხარი, ნედლი ყველი და კარაქი მამეც-მეთქი. ხორცი უნდა და ხორცის მაგიერ ამას ვაჭმევ-მეთქი. იმ ქალმა მამცა ყველი და კარაქი და ხინკალ ვაკეთებდი. დავუჭყლიტე იმ კარაქში ყველი და ისე. რო გავაკეთე, ეგე ხინკალ გავაკეთე-მეთქი, კარაქ მათქმეთქი და ვაძლევ, რო შეჭამოს, თურმე მოკვდა, მკვდარია. ჭიები იყო მოსული. ესე ექვსი-შვიდი წლისა მაინც იქნებოდა. სკოლის ბალებმა ამოუთხარეს იქ საფლავი. არ იყო მოსათხრელად ხალხი. ყველა წავიდა ომში. ბალებს არ დარჩა დაზრდილები, ერთი ხუთმეტი წლის ბიჭი იყო, ისიც წავიდა განცხადებით, აქ ვინ დადგებო, იმოდენა ხალხი წავიდაო. მე და ჩემმა ბიძაშვილმა ეს მკვდარი გზამდინ ჩვენ წავიღეთ. მერე მასწავლებელმა თავის ბავშვები წამაიყვანა და წაიღეს და... საფლავზეც არ ვიყავი ჩემი ძმის იქ. არადა, ცუდად რო იყო, ეს ჩემი ძმა მეუბნებოდა, თუ მე მოკვდაო, თუ თქვენ წახველო ჩვენ სოფელქვეყანაშიო, იქ გაყიდული ძროხის ფულიო,

here." I constantly think of those words, those words...

Then I left there and took my other brother with me. As for one of my sisters, I had to leave her there; I just could not do otherwise. I did not know who would shelter me there. We were both young and unmarried – it just would not work out. There was a certain Barata, and I followed him to the mountains near our village. There were so many villages we passed, so many ascents and descents we made, so many rivers we crossed on our way from Chechnya. My brother became unable to walk because of starvation after we ran out of provision, and his mouth began to bleed. There was my elder sister in the mountains, my father's daughter from the first marriage. His first wife died in the mountains and he married my mother after that. That elder sister of mine was the only child he had with his first wife. So, she sent my brother to the boarding school. Because of starvation that he had been put through during our trip, my brother was bedridden for an entire month.

From there I arrived in Akhalsopeli. Sometimes, the local police kicked out people all the way to Gurjaani, "Go back where you belong!" The local women hid me in the attic, and I would not leave: I had a felt cloak workshop near the chapel in Akhalsopeli; that's where I turned to wool-processing, and worked there for two or three years. Since I was an orphan, I knew nothing about many things. When I went through my first menstrual period, I thought I had a cut somewhere down there. I applied ovine fat and bandaged the spot. When I got married, I did not even have breasts. I was only fourteen, just a little kid. Since I was an orphan, elderly women advised me not to give anyone a chance to desecrate my good name: there

რო გაიყოფო ოთხივესთვისო, ის ჩემი გაყოფილი ფული „შოფერს“ მიეცით და მკვდარი აქ არ დამტოვო, დედაჩემ ხო იქ არი დამარხულიო. იმ ბაღში, პატარამ: ჩემი და თუ ხარ, არ დამტოვო. შენ ხო დედასავით იყავიო და აქ არ დამტოვო. სულ მაგონდება იმისი სიტყვა, ეგ მაგონდება...

მერე წამოველ, ჩემი ძმა წამოვიყვანე. ერთი და კი იქ დავტოვე, საშუალება არა გვქონდა ისიც რო მომეყვანა. იქ ვისთან დავდგები მდგმურად, არ ვიცოდი. მეც გასათხოვარი, ისიც გასათხოვარი არ შეიძლება-მეთქი, პატარები. ბარათა იყო აქ ერთი, იმათ მოვეყვი მთამდინ, ჩვენ მთამდინ. ჩაჩნიდან გამოყოლებით რამდენნაირი სოფელი გავიარე, რამდენი აღმართი და დაღმართი, წყლები. ჩემი ძმა პირქვეში იყო ნაქცეული, საჭმელი რო მორჩა, მშიერს ვერ შეეძლო სიარული და სისხლი მოიდა პირიდან. მერე მთაში ჩემი და იყო უფროსი, მანდ მამაჩემის პირველი ცოლისა ქალი იყო ის. პირველი ცოლი მთაში მამკვდარიყო და მერე შეირთო დედაჩემი. იმ ქალისგან ერთი გოგო დარჩა, ის უფროსი და ჩემი. იმან ჩემი ძმა ინტერნატის სკოლაში გაუშვა. ერთი თვე ავად გახდა ჩემი ძმა შიმშილისაგან, გზაზე რო დატანჯეს.

იქიდან ახალსოფელში ჩამოველ. ხან მილიციელი გაგვრეკავდა გურჯაანამდინ. არ უშვებდა აქ, ნადი ისევ საცა იყავი, იქო. ახალსოფელში ქალები მაღლა ჩარდახში მმაღავდნენ. ხალხ რო რეკავდნენ უკან, მე დამალული ვიყავი, აღარ წაველ. საყდართან ნაბდების არტელი გვქონდა ახალსოფელში, იქ მატყლის დაჩეჩვა დავინყე, იქ ვმუშაობდი ორი-სამი წელი. ობლად რო ვიყავ, არაფერი არ ვიცოდი. პირველად რო მოიდა თვიური, მე მეგონა რალაცა გაჭრა იქ-მეთქი. ცხვრის ქონი დაუდე და ხილა-

was one childless lady and she told me, "You're a beautiful girl; you don't want anyone to kidnap you. I will arrange your marriage." I did not want to get married, but even if I refused, they would have forced me to do it regardless. I had not even met my husband before, he was a stranger and they made me marry a stranger. There was one Leki man tending sheep in Akhalsopeli, he had a Georgian woman for a wife, her name was Aniko. He did not let his wife go with him when he took his sheep to the pastures. So, while he was away, that first wife of his sold the house, everything in it, the vineyard, everything, and left for Leliani before the husband returned. That was the man that wooed me; it was his relatives that came over to propose to me.

The wedding reception was excellent; my husband took care of it. I was staying at the gunsmith Simona's place, near the upper chapel, and they brought me down to Pidaan's place. They took me there in a "lileinka" park drag coach. A Georgian man, Gigitza of the Tzukiaant clan, was my husband's best man. The Leki female inhabitants of the village of Tivi attended the wedding reception, too, some of them gave me clothes, others shawls as a wedding gift; that's how I, this orphan girl, was given in marriage. They covered me with something made from silk. I first saw my husband only later, when they left us alone for our wedding night: such was the demand of tradition. I started screaming and shouting. I never let him come near me and continued crying all night. Because I was so young and would not stop screaming and yelling, the wedding guests would not let my husband see me that night. Then my husband and my brother-in-law went to the village of Tivi to bring sheep and slaughter them for the wedding reception.

ბანდით შავიკარი. რო გათხოვდა, ძუძუე-
ბიც არა მქონდა. თოთხმეტი წლისა ვიყავი,
პატარა. ობოლი რო ვიყავ, დიდმა ქალებმა,
არ შეიძლებაო, ვიღაცამ სახელ არ გააფუ-
ჭოსო. მერე ერთი უშვილო დედაკაცი იყო,
იმან: შენო ლამაზი ხარო და ვინმემ არ მო-
გიტაცოს, მე უნდა გავათხოვო შენი თა-
ვიო. არ მინდოდა გათხოვება, მაგრამ უარი
რო მეთქვა, მაინც ძალად გაათხოვებდა.
იქამდე სულაც არ ვიცნობდი ჩემ ქმარს,
უცხო იყო და უცხოს მიმათხოვეს. იქ
ახალსოფელში იყო ერთი ლეკი კაცი
ცხვარში, იმას ყოლია ქართველი ქალი,
ანიკო ქვიოდა. ცხვარში რო ქმარი იყო, იქ
არ წაიყვანა ცოლი. ხოდა ამ პირველ ცოლს
გეყიდნა სახლი, სახლში რაც იყო, ვენახი,
ყველაფერი, მანამდე ქმარი წამოიდოდა
ცხვრიდან, ის უკან წასულიყო ლელიანში.
ხოდა ეს კაცი მოიდა სათხოვნელად, იმისი
ნათესავეები მოიდა.

ქორწილი ძალიან კარგი იყო, ჩემმა
ქმარმა გადაიხადა. მეთოფეანთ სიმონას-
თან ვიყავი ზევით საყდართან და ქვევით
ფიდანათას მიმიყვანეს. „ლილეინკით“
წამიყვანა ქალი. ქართველი კაცი, ცუკია-
ანთ გიგუცა იყო ჩემი კაცის მაყარი. თივე-
ლი ქალები, ვინც ლეკები იყვნენ აქ, მოიდ-
ნენ ქორწილში და ზოგმა ტანისამოსი მის-
ცა, ზოგმა შალი მისცა და ეს ობოლი გოგო
გაათხოვა. დამაფარეს აბრეშუმის რაღაცა.
მერე ცალკე რო გაუშვეს და მე ეს კაცი რო
დაინახე, ჩვენ იქამდე დანახვა არ ვიცით
ხოლმე, ვყვირივარ, ვწივივარ. სულ ახლო
არ გაუშვა მე, ყვიროდა დილამდინ. მე რო
პატარა ვიყავი და რო ვყვიროდი და ვწიო-
დი, ქორწილის ხალხმა უთხრა, არ შეიძლე-
ბა შენ ცოლთანო, არ გაუშვეს იმ ღამით.
მერე წავიდა ცხვრების მოსაყვანად ჩემი
კაცი და ჩემი მაზლი თივში, დასაკლავად
უნდოდათ ქორწილში. იმის და იყო, იქ სწავ-



69. სოფელი თივი (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
The village of Tivi (Photo by Ts. Goderdzishvili)

Their sister, Zina, was there with me, too: she
was a student. I asked her to bring me some
water and accompany me so I could use the
outhouse. I poured that water in the toilet and
asked her to fetch me some more from the
house. I tricked her and ran away toward the
cemetery. I hid in the pear tree branches till
morning. I was still a virgin. All through the fol-
lowing day, I sat on that tree till midnight; I was
hungry and wanted to escape to the mountains
so I would not have to go to my husband. A
certain woman, Balia, kept looking for me,
"Rukia, Rukia!" That was my Lekhi name.
"Come back, my child! He might say you're
not a virgin, that's why you have run away. If
you're hiding somewhere, please show your-
self!" I could not reply to her. I wanted to
sneak in and steal some bread after everyone

ლობდა ის გოგოც, ზინა ქვიოდა. მე კიდე ის წამოიყვანე წყლით, უთხარი, წამო, ფეხადგილში წავიდეთ-მეთქი. ეს წყალი გადავღვარე „უბორნიაში“ და გავუტანე, სახლში გავვზავნე, რო წყალი მაიტა-მეთქი. მათყუე და მე წამოველ აქეთ, სასაფლაოსკენ. დილამდინ ვიყავ მსხლის ხეზე დამალული. ჯერ ხელი არ არი დადებული. შუალამემდინ ვიყავ ხეზე უჭმელი, მინდა მთაში გაიპაროს, რო კაცთან არ წავიდეს. ეს ჩემი ბალია, ესე ქვიოდა იმ ქალს, ვინც გამათხოვა, მეძახის, რუყიაა, რუყია მქვიოდა ლეკურად, მოდი, შვილო, უქალობას იტყვის შენზეო, იჭორავებსო, ესე იგი, რო ქალწული არ არისო, იმისთვის გაიპარაო. წამოდი, სადმე თუ დამალული ხარო. ხმას ვერ ვაძლევ მე. ხოდა, როცა ისინი დაიძინებენ, მინდა, რო პური მოვიპარო სახლიდან. თურმე, ყარაულად ყოფილან ესენი ჩემთვის. პურისთვის რო წაველ, გადამიდგენ და ერთმა ქართველმა ქალმა დამიჭირა. წამიყვანა ისევე იქ. სამი თვე ვიყავი კლიტედადებული, გარეთ არ უშვებდა არც ქმარი და ის რო წავიდოდა, თავის და, მახული, ხო იყვნენ, არც ისინი არ უშვებდა. იმის მერე ახალსოფელში ოცდაცამეტი წელიწადი ვიყავი იქ მდგმურად, ქირით. ჩემი ქმარი ცხვარში იყო ხალხისთვის ქედში. მანამ იქიდან მოიდოდა ცხვრით, მე დანძილზე დავდიოდი. მთაში ქალებს ხიდზე გავიყვანებდი ხოლმე. ერთი ხილია იქ, მთაში, სახსე „მეშოკებს“ დავუდებდი გარდიგარდმო ხეზე, წყალზე რო იყო დადებული და დაგორებით გამქონდა ხიდს იქით. ერთხელ, უფროსი ბიჭი რო მყავს, მაგაზე დღე-დღეზე ვიყავი და მოიდნენ თელავიდან ქალები, ჩემი მულები. თავიანთი გულისთვის, ხიდზე გადაყვანის გულისთვის ძალათ წამიყვანეს ამხელა ღიპიანი, მუცევილი მქონდა დიდი. ხიდზე ეშინოდათ და მე

went to sleep. But as it turned out, they kept watch for me. So, when I went to get some bread, they blocked my path and one Georgian woman caught me. She took me back home. They kept me locked up for three months and would not let me out; my husband kept guard, and when he was away, his sister and brother took turns watching me. After those events, I spent thirty-three years in Akhalsopeli, renting a place to live. My husband worked as a hireling, looking after his employers' sheep in Kedi. While he was away tending sheep, I gathered leek. I also helped women over a certain bridge. This bridge was way up in the mountains: I would put huge full sacks over the logs used as a bridge, and rolled those sacks over to the other side of the river. One time, when I was about to give birth to my eldest son any day, my sisters-in-law arrived from Telavi. They took me, a pregnant woman with a huge belly, to that bridge to help them over the river; they did it just for their own benefit. They were scared to cross the bridge, so I had to help them. I was not scared. But I started having false labor pains right in the middle of the bridge. If I decided to return alone, they would not follow me. I was afraid I would give birth right then and right there! I was scared! So, I decided to keep going. I knew those places by heart. When I went there to gather leek, I packed fifteen loaves of bread, two sticks of margarine, and two packs of butter that they used to sell back then. I also put half a kilo of honey. They did not know what I put in their sacks. I also added one meter of felt, a small piece of cloth for the child in case I suddenly went into labor, a bundle made with a headscarf and containing a headband, baby clothes, a tool to cut the umbilical cord, clean cloths to cover the navel scar, I brought every-

უნდა გედემეყვანა. მე არ მეშინოდა. ხო-
და, შუაგზაზე მეტკინა მუცელი ბიჭისთვის.
ეხლა რო უკან წამოიდე მარტოკა, ისინი არ
მოვლენ. ვაითუ დაბადა ბალლი გზაზე-
მეთქი! მეშინიან! ისევ წინ წაველ. იქ ყველა
წასვლის ადგილები მე ვიცოდი. იქ ღანძილ-
ზე რო მივდიოდი, ერთი ხუთმეტი შოთი
პური დაუდე, ორი მარგარინი დაუდე, ორი
კარაქი დაუდე, პაჩკები ხო გვექონდა მაშინ.
ერთი ნახევარი კილო თაფლი დაუდე. იმათ
არ იციან, მე რაც დაუდო „მეშოკებში“. ერ-
თი მეტრო თექა დაუდე, პატარა ნაჭერი,
რო ვაითუ, ბალლი დააბადა-მეთქი, ბალ-
ლის ბოლჩა, ხილაბანდი სამსე შიგ: თავის
შასაკრავი, ჩასაცმელები, ჭიპის მოსაჭრე-
ლი, ჭიპზე დასადები, ყველაფერი წაუდე.
სამი დღე უნდა იქ, რამდენიც მუცელი
ტკივა, მე თხრის ღანძილ, მეშოკი ავამსე,
კაარგად გავძეკე ფეხით. მესამე დღეს, აქ
რო უნდა მოვსულიყავით, დილას მზე რო
მოიდა მაღლა, თერთმეტ-თორმეტ საათ-
ზე, ეს ბიჭი გავაჩინე. რო დააბადებ, რო
ვეყრი, უკვე თავი გარეთ არი, და მოდის
ერთი კაცი მთიდან გუდით. მე უთხარი, კა-
ცი მოდის-მეთქი და ბალლი დააკავა. იმ კა-
ცისა შამრცხვა. ბავშვი სულ გალურჯდა.
იმ კაცმა იქით მხარეზე რო გაიარა, მერე
გააჩინა ბალლი და არც ხმა აქ, არც თვალე-
ბი გახილებული არ არი. მე უთხარი ქალებს,
ეს კისერი არი დაკეტილი, ბავშვი მკვდარი
არ არი, ცოცხალია, პირზე პირი დაადე და
სული გაანურე-მეთქი, სული გაანურე
ბალლს-მეთქი! რა სული გაანურეო, ზოგი
წავიდა, საფლავი გავთხაროთ, მკვდარია
ბალლიო. მე ავიყვანე და მე გაუნურე სუ-
ლი. იჰ, იჰ, იჰო და ხმა ამიილო, ეს ბალლი
გაცოცხლდა. ჭიპიც მოვჭერი, ჭიპიც დაუ-
ბი, კარგად შაუკარი კიდეც, გეგონებოდა,
საავადმყოფოში არიო, ეგრე იყო ბალლი
გაკობტავებული. იცეკვეს ქალებმა, ექი-

thing that I could need. The leek gathering en-
deavor takes three days, and whenever I was in
pain, I continued to pluck leek, I filled up a
sack and packed it with my feet. I gave birth to
my boy on the third day, when we were sup-
posed to leave for home, when the sun reached
its zenith, at about eleven or twelve o'clock. I
was in labor, I could hear the baby cry, and its
head was already sticking out, when I noticed
one man with a sack over his shoulder, coming
down from the mountains. I said, "Look, a man
is coming." So, I halted the delivery for two
hours. I felt embarrassed before that man. The
child turned all blue. When that man walked
far enough on the other side, only then did I
give birth. But it would not utter a cry or open
its eyes. I told the women, "It's just that its neck
is clogged, the child is not dead: it's alive. It's in
need of artificial respiration. Just perform mouth
to mouth resuscitation to breathe some life into
it!" Nobody even considered breathing life into
him; some even left to dig a grave, they said,
"The child is dead." I picked it up and breathed
life into him. It coughed and then gave a cry:
the child was brought back to life. I cut its um-
bilical cord, tied its navel: one would think it
was just out of the hospital, he was taken such a
good care of. The women started to dance,
saying, "She must be a doctor herself, she has
learned everything!" They arranged a table and
ate everything: that margarine, honey, those
breads... Then, when they noticed that bundle,
they wrapped the child in swaddling clothes,
made it look so cute. Then, in about thirty min-
utes, they told me, "Let's go!" So, I tied this
child to my chest with the headscarf, picked up
the sack and set on a trip even more vigorously
than the others. Some people, namely, twelve
women arrived on the day of our departure.
One of them told me, "You came here because

მიც თითონ ყოფილაო, ყველაფერი თითონ უსწავლიაო. კამპანია გააკეთეს და ეს საჭმელები სულ არ შაჭამეს ესე! მარგარინი, თაფლი, ეს პურები... მერე ეს ბაღლის ბოლჩა რო ნახეს, შაკრეს ბაღლი, გაალამაზეს. მერე მეუბნებიან, ერთი ნახევარი საათის მერე, ნავიდეთო. ხოდა, ეს ბავშვი ხილაბანდით წინ დავიმაგრე, ავიკიდე ეს მეშოკი და ამათზე მაგრად მივდივარ მე. აქედან ხალხი მოიდა ჩვენი მთიდან წამოსვლის დღეს, თორმეტი ქალი. ერთი ახალი მოსული იძახის, უკან აღარ ნახვიდე მათთან ერთადო, ეგენიო, იქაც არ მივიდეს ცოცხალი და აქაც არ დარჩესო, თავიანთი გულისთვის წამოგიყვანეს და თითო ხილაბანდი ღანძილი რატო არ დაუდეს თავიანთ „მეშოკებზე“ და არ წამოგიღესო. ახლმშობიარე ქალი ხარ და მარტო ბავშვი მაინც რატო არ მიგყავსო. მაგათ მოსაკვდომად წამოგიყვანესო! არ დამანება, იმ დამეს იქ დავრჩი. თურმე იმ დღით, ისინი რო ნავიდნენ, ერთი ახალგაზრდა თივის ქალი ახალგათხოვილი, ისიც იყო იქ თავის დედასთან ერთად, წაუყვანია წყალს. ხიდიდან ჩავარდნილა მეშოკთან ერთად. მეშოკი რო დასველდა, ხო ათრევს, მერე თოვლის ზვაკი წამოსულა და დაუკეტია წყალი, ეს დაკეტილი წყალი მოსულა იმათზე, მანამ ისინი ხიდზე მოიდოდა. დიდი წყალი მოსულა. ეს ქალები დარჩენილან კლდის ქვეშ. ეს გოგო წაუყვანია. ფეხმძიმე იყო ოთხი-ხუთი თვისა პირველ ბაღლზე. წაუყვანია საცხენომდე. დიდი მორები, დიდი ხეები ეტაკებოდნენ, ისე დიდი წყალი იყო. იქ ძებნიან თურმე კაცები, თავის მეშოკმა გააგებინა: ორი ხე რო არი შუაზე გაყოფილი, იმ ხეზე იყო გაჭედილი, იქიდან გამაიყვანეს მკვდარი ის ქალი. შუაზე თავი ქონია გატეხილი, ქვიშით სამსე. მერე ჩვენ რო მოვდივართ... ჭიპამდე მოდიოდა წყალი. ამ

of them. Then why won't each of them take some of your leek and put it in her sack, so you won't have to carry that load? You just gave birth and you're not supposed to carry any load, save your infant. Do they really want you to die here?" She would not let me go and I stayed there overnight. As I found out later, there was one newlywed girl from Tivi with her mother. So, on that very day when my companions left, the girl drowned in that river: she fell off the bridge and sank along with her sack. She was pushing her wet sack. Then an avalanche from the mountains blocked the river. The stream resumed flowing right when they were crossing the bridge. The river flooded the surroundings. It hailed and rained hard. Those women found themselves trapped under a cliff. The stream carried that girl away; she was four or five months pregnant with her first child. The flood carried her all the way to Satskheno. The flood was so strong that it carried huge trees and logs. The men kept looking for her, and found her by her sack: she was stuck in the gap of one split-up tree. When they pulled her out, she was already dead. Her head was split in half and filled with sand. Then, when we set on our trip, the water reached our navels. Nobody could enter that water. There were eighteen women in total, and I helped them over the river one by one. I carried this newly-born child of mine to the other side and left it there. I helped all those women one by one, some of them were elderly, others pretty young. When I, a mother who had just given birth stood in the water, it turned all red. I had plucked ninety kilos of leek. I carried both the infant and leek. Later, my landlord rebuked me, "I will kill you! Why did you go with them? Why did you let them trick you into doing it? What would I tell your husband if you

წყალში ვერავინ ვერა
 ბედავდა შესვლას.
 თვრამეტი ქალი იყო და
 თითო-თითო ქალი
 გამოვიყვანე წყალში. ეს
 ახალგაჩენილი ბავშვი იქ
 ნაპირზე წავიყვანე და
 დატოვე. ეს ქალებიც სუ
 თითო-თითოთ ავათრიე,
 ზოგი მოხუცი, ზოგი
 ჯეელი. წყალი იყო სის-
 ხლით წითელი, მე რო შიგ
 ვიდექი ახალნამშობი-
 არები. ოთხმოცდაათი კი-
 ლო იყო ღანძილი ჩემი
 მოთხრილი. ეს ბავშვიც მო-
 იყვანე, ღანძილიც. მერე
 ვისთანაც მდგმურად
 ვიყავ, იმან მითხრა, მოგ-
 კლავო, რაზე ნახველ, რა-
 ზე მათყუებინე თავი, იქ
 რო მამაკვდარიყავი შენ
 ქმარს რა უნდა ეთქვაო.
 ქმარი ქედში იყო ცხვარში.
 რა ვუყოთ-მეთქი ეგრე
 მოხდა. ავადაც არ გავხდი.

ეს ჩემი მეხუთე შვილი
 იყო, ვინც გავაჩინე, წინე-
 ბი მკვდარი მყავდა...”

had died there?" My husband
 was tending sheep in Kedi at
 that time. I answered, "There's
 nothing we can do about it
 now. I didn't even get sick."

It was my fifth child that I
 gave birth to; none of the four
 previous babies had survived...”



70. მდინარიდან მოტანილი წყალი, სოფელი თივი (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
 Water from the river. The village of Tivi (Photo by Ts. Goderdzishvili)



71. ბაქირ ისმაილოვი, ლაგოდეხი, სოფელი უზუნთალა (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Bakir Ismailov. The village of Uzuntala, Lagodekhi (Photo by Ts. Goderdzishvili)

ბაქირი: „...მე თვითნასწავლი ვარ, სიმღერა ჩემთვის არავის უსწავლებია. პატარა რო ვიყავი, აბრეშუმის ჭია გვყავდა და დიდი ჯიშის თუთის ხეები გვედგა. მამაჩემი რო მაგზავნიდა, ფოთოლი მოტეხეო, წავიდოდი, ვიჯექი იმ ხეზე და მთელი ხმით ვმღეროდი და ვმღეროდი. ეხლა ყველა მიცნობს, ყარაჯალაშიც მიცნობენ, იორმუნღალაშიც და მარნეულშიც, სადაც არ უნდა ვიყო, ოთახში, ბუნებაში თუ სად, მიკროფონი არ მჭირდება. ჩემი ხმა ყველგან წვდება...“

Bakir: "...I'm a self-taught person, nobody taught me how to sing. When I was little, we kept silkworm and had big pedigreed mulberry trees. When my father sent me to fetch a leaf, I would sit on that tree and sing my heart out on end. Now everyone knows me, they even know me in Karajala, Iormunghalo, and Marneuli; It does not matter where I am, be it in a room or outdoors, I do not need a microphone. My voice reaches everywhere..."

72. დედის კალთის ქვეშ, სოფელი კაბალი (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Under the mother's protection. The village of Kabali (Photo by Ts. Goderdzishvili)





73. სოფლის მწიგნობარი. სოფელი კაბალი
(ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
The village intellectual. The village of Kabali
(Photo by Ts. Goderdzishvili)

"...ამაში ვწერ ყველაფერს, რაც ვიცი, ჩემი სოფლის ისტორიას, ჩემი ხალხის. აქ ღვთისმშობელი და იესო ნაზარეველიც არის და მუჰამედიც..."

"...I record here everything that I know, the history of my village, of my people. The Mother of God and Jesus the Nazarene, as well as Mohammad, are present here..."

74. აზერბაიჯანელი გოგონა. სოფელი განჯალა
(ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
An Azerbaijani girl. The village of Ganjala
(Photo by Ts. Goderdzishvili)

"...სიმღერა ძალიან მიყვარს, ძალიან. მე მგონი, დაბადებიდან ვმღერი, ისე, ჩემთვის, სახლში..."

"...I love to sing very, very much. It feels as if I were singing from my very birth; just for fun, at home..."





75. მაჰმუდ ისმაილოვი. სოფელი უზუნთალა (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Mahmud Ismailov. The village of Uzuntala (Photo by Ts. Goderdzishvili)

„...მამაჩემი ამბობდა, მე კიროვობადიდან მოსული კაცი ვარო, ჯველის დროზე. ჯერ თბილისში მოსულა დასთან, მერე მარნეულში, მერე აქ ჩამოსულა და დარჩენილა. იმისი შვილები სულ მომღერლები იყვნენ, ბიჭები. აბა ქალს რა უნდა სიმღერასთან და ინსტრუმენტთან. ჩვენთან არ არის ეგეთი წესი, არ შეიძლება, სირცხვილად თვლიან. ჩემ ბიჭსაც ვუყიდე თქვენებური ჩონგური პირველად გურჯაანში. მერე წავედი და ბელაქანიდან მოვიტანე საზი, ეხლა ამაზე უკრავს. ჯილაგში გვაქ მუსიკა...“

"...My father used to say that he had come from Kirovobad, back when he was young. At first, he arrived at his sister's in Tbilisi, then he moved to Marneuli, and finally came here to stay. All of his children, boys were singers. Women have no business singing and playing instruments. It is not our custom, it is prohibited, it is considered a shame. I bought for my boy his first instrument, your *chonguril* in Gurjaani. Then I went to Belakani and bought the instrument *sazi*, he plays it now. Music runs in our blood..."



76. მამადსონის ველიევი. სოფელი განჯალა (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Mamadsoin Veliev. The village of Ganjala (Photo by Ts. Goderdzishvili)

მამადსონი: „...ჰალალი კაცი ვარ, ჰალალად ვიშრომე ორმოცდახუთი წელი ტრაქტორისტად და შვილებიც ჰალალად გავზარდე. გოგო ბაქოში მყავს გათხოვილი, ისიც კარგად უკრავს, კარგი ხმა აქ. იქ ძალიან პოპულარულია, უყვართ. ჩვენთან რო ყოფილიყო ესე არ იქნებოდა. ისე სტუმრად რო ჩამოდის ვმღერით ხოლმე მამა-შვილი ერთად...“

Mamadsoin: "...I am an honest man; I have worked honestly for forty years as a tractor driver and brought up my children to be honest people. My daughter is married in Baku, she plays well, too; she has a good voice. She is very popular there, they love her. If she were here, things would have been different. When she comes to visit with us, we sing together: father and daughter..."

77. მამიდსონის მუჟღე გულიშა და მისი რძალი ლეილა. სოფელი განჯალა (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Mamidsoin's spouse Gulisha and his daughter-in-law Leila. The village of Ganjala (Photo by Ts. Goderdzishvili)



78. მთისუბნელი გოგონა (ფოტო: მ. თაბუკაშვილი)
A girl from Mtsubani (Photo by M. Tabukashvili)







79. მარიამ დალაქიშვილი, სოფელი ზინობიანი
(ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Mariam Dalakishvili, The village of Zinobiani
(Photo by Ts. Goderdzishvili)

მარიამი: „...ჩემი ნატანჯი მშობლები აზერბაიჯანიდან ერთი უდი კაცის, ზინოს წინამძღოლობით ჩამოსულან. ის ძალიან კეთილი ადამიანი ყოფილა, თუმცა მერე დაუპატიმრებიათ. აქ თავიდან ამოთხრილ გორებში, მინურებში დაინყეს ცხოვრება, რომლებსაც ზემოდან უბრალოდ გადაფარებული ჰქონდა ყავარი და ქვემოდან კი საჰაერო დატოვებული. ამ ჩვენი ხალხის საკითხი შემდეგ „ზემოთ“ განუხილიათ და ყველასთვის მიუციათ ადგილი. აქაურობა სულ მუხიანი ყოფილა და სოფლისთვის თავიდან მუხიანიც დაურქმევიათ, მაგრამ მერე, რაკი ზინოს შემოუსახლებია და აუშენებინებია თავისიანებისთვის ეს სოფე-

ლი, იმათაც სახელი შეუცვლიათ და ზინოს პატივსაცემად ზინობიანი უწოდებიათ. სწორედ ამ დროს, 1921 წელს, როცა ზინობიანი უკვე დაარსდა, მეც დავიბადე ერთი კარგი მამის ოჯახში. ბავშვობა მწარე გაჭირვებაში გავატარეთ, ამ სოფლიდან მეორე სოფელში დავდიოდით მეხუთე კლასიდან მოყოლებული ეს პატარა ბავშვები. მაღლაც არაფერი მქონდა ჩასაცმელი, ფეხები კი – ყინვაში, მაგრამ მინდოდა სწავლა და ყველა გაჭირვებას ვუძლებდი. წარჩინებით დავამთავრე ათი კლასი, კარგი მოსწავლე რომ ვიყავი, დამნიშნეს სოფლის სკოლის პიონერხელმძღვანელად, მერე, ომის პერიოდში კი კომკავშირის მდივნად გადამიყვანეს ეს ახალგაზრდა გოგონა. აი, ამ თითებზე ნაჭრილობევს ხომ ხედავთ? მაშინა მაქვს ნამგლით დაჭრილი. ბალახსა ვჭრიდი ახალგაზრდა ბიჭებთან ერთად, ისეთი თამაში ვიყავი. ხომ ისე გვიჭირდა, მაგრამ მე ცხოვრებისა არ შემშინებია. მალე სკოლიდან საბავშვო ბაღის დირექტორის მოადგილედ გადამიყვანეს. მოსკოვი გვამარაგებდა და ჩვენს ბაღს ბალი არ შეედრებოდა, ისეთი კარგი იყო. ევგენი ჯეირანაშვილი რომ არის პროფესორი, იმისი და იყო ჩემი დირექტორი – ჯეირანაშვილი ქსენია, უდების ერთ-ერთი წამყვანი ქალი. ბავშვებს ისე უხსნიდა უდურ წესებს, ისე ესაუბრებოდა, რომ გაგიკვირდებოდა. 5-6 წლის პატარებში უდინურ თეატრს გვადგმევინებდა, იმისი ძმაც ბევრჯერ დასწრებია და გაკვირებული დარჩენილა, ასეთი კარგები როგორ არიანო. ისიც სუყველას უდურად ელაპარაკებოდა. რამდენჯერ დავურიგებიავარ ჩემს დირექტორს, ჩვენი ხალხი ყოველთვის ერთგული იყო და შენც ესეთი უნდა დადგო. ამ დარიგებისათვის არც მილაღატია. როგორც უდი ქალი, ყველაფერში უშიშარი, მებრძოლი და ძლიერი ვიყავი.

...უდინური ენა იყო ჩემთვის ყველაფერი, ამ ენაზე ავიდგი ენა და ამ ენაზე გავიზარდე, როგორია უდინური ენის ისტორია არ ვიცი, მაგრამ ერთადერთი, რაც მქონდა

დარჩენილი ჩემი ხალხისგან, ეს ენა იყო და არც ვივინყებდი.

...მახსოვს, მე დეიდა მყავდა, ვართაშენ-ში ცხოვრობდა. სახლს აშენებდა და ჩემი თვალით ვნახე საძირკველს რომ აკეთებდნენ უცებ რაღაცას წაანყდნენ, ფრთხილად, ფრთხილად, რაღაცააო. კარგად რომ ნახეს, ძველი ქართული ჭური აღმოჩნდა, საუკუნეების მანძილზე შემონახული, ქართული წარწერებით. ახადეს და შიგ განყალბებული ღვინო დახვდათ. ესე იგი, ეს სულ საქართველო იყო, უზარმაზარი, ძლიერი. ამიტომ ისტორიულ სამშობლოდ საქართველოს ვთვლი და ესეც რომ არ იყოს, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე და ჩემი სამშობლოა აბა, რა არის. ერთი მარტო ენა გვაქვს სხვა და დღეს თანდათან ეგეც აღარ არის..."

Mariam: "...My worn-out parents arrived here from Azerbaijan under the leadership of one Udi man, Zino. He happened to be a very kind person, yet, they arrested him later. At first, they lived here in dugouts which they simply covered with tree branches. Later, the issue of my people was discussed by the higher authorities and everyone received a place to live.

The place was all covered in oaks and they named the village Mukhiani (Oak Grove) at first; however, later, because Zino brought his people here and built a village for them, they renamed it Zinobiani in his honor. I was born to a good father's family precisely at that time, in 1921, when Zinobiani had just been established. We spent our childhood in extreme need; starting from the fifth grade, we, these little children, had to walk to another village to attend school. I had no clothes to wear, my feet were freezing but I wanted to study and I withstood all troubles. I graduated from school with honors. Because I was a good student, they appointed me the village's Young Pioneer (Scouts) organizer; during World War II, they promoted me and I, still a young girl, became the Secretary of the Young Communist League.

Can you see these scars on my fingers? I got them back then, with a sickle. I was mowing grass with young men, that's how courageous I was. We were so needy, yet, life never frightened me. Soon, they transferred me from the school to the kindergarten as its Assistant Director. We received support from Moscow and no kindergarten could rival ours, so good it was. Professor Evgeni Jeiranashvili's sister, Xenia Jeiranashvili, one of the Udi activist women, was my director. You should have seen how well she explained Udi customs to the children, how well she spoke to them. She had 5-6 year-old kids stage performances; her brother often attended them and was left surprised, that's how good they were. He spoke with everyone in Udi language. My director often taught me that our people had always been faithful and I also had to become such. I have never swerved from that teaching. As an Udi woman, I've always been a fighter, courageous and strong in everything.

...Udi language was everything to me, I uttered my first words in that tongue and that's the language I was brought up with. I do not know the history of Udi language. Yet, the only thing I had inherited from my people was the language, and I've never forgotten it.

...I remember I had an aunt, she lived in Vartasheni (Azerbaijan). She was building a house and I saw with my own eyes how, while laying foundation to it, they came across something: *Careful! Careful! There's something here*. When they looked closely, they found out that it was an old Georgian wine vat, preserved through the centuries, inscribed in Georgian. They uncovered it to find wine that had turned into water inside. Thus, it was all Georgia, vast, mighty. That is why I consider Georgia my historic motherland; and even if it weren't so, that's where I was born, that's where I was brought up, how can it *not* be my motherland?! It's just that we speak different languages; even that difference is becoming obscure nowadays..."



80. ქეთევან კაბულოვა მეულესთან ერთად. სოფელი წინკანანთსერი
(ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Ketevan Kabulova with her spouse. The village of Tzitzkanaantseri
(Photo by Ts. Goderdzishvili)

ქეთევანი: „...ჩემი წინაპრები ქართლიდან არიან ჩამოსულები, პაპაჩემი ქარელიდან წამოსულა 1900 წელში, როცა მამაჩემი 3 წლისა ყოფილა. ეს სოფელი მაშინ უკვე არსებობდა. იქამდე კი მთიდან ჩამოსული ხალხი კუჭატანში ცხოვრობდა თურმე, მაშინ ლეკები ესეოდნენ ქართველებს. შემოდდიოდნენ სოფელში, კაცებს აბამდნენ და ცოლებს იმათ თვალწინ აუპატიურებდნენ. დღისით-მზისით ყანაში წასულ ქალებს დაერეოდნენ და ნამუსსა ხდიდნენ. ამას რომ უყურებდნენ, ვერ იტანდა მთის ხალხი. ერთხელაც, ესე შესცვივნოდა ორი ლეკი ქართველ კაცს სახლში, შეეშინებინათ, ხმა არ ამოიღო თორემ მოგკლავთო და ცოლისთვის დაეწყით გაუპატიურება. ახალგაზრდა, პატარა გოგო

Ketevan: "...My ancestors arrived from Kartli, my grandfather left Kareli in 1900 when my father was three years old. This village had already existed by then. But before that, people who came from the mountains lived in the neighboring village of Kuchatani; the Lekis used to attack the Georgians then. They would enter the village, tie up the men and rape their wives right before their eyes. In brought daylight, they would capture women gone to work in the fields and violated them. My fellow highlanders could not take it any longer. Thus, one time two Lekis burst into one Georgian man's house, threatened to kill him if he uttered a word and started raping his wife. Somehow, their little girl escaped the Lekis; she jumped out of the window and found shelter at one

კი როგორღაც გამოჰქცეოდათ, ფანჯრიდან გადმომხტარიყო და შეეფარებინა თავი ოსის ოჯახში. გაეგო თუ არა ამ ოსის კაცს იმათი ამბავი, გამოვარდნილიყო ხმლით და აეკუნა ორივე ლეკი. მერე კი დაებარებინა სოფლის სხვა ოსები და ეთქვა, აქ გაჩერება მეტი აღარ შეიძლება, მოდით, ჩვენ ცალკე გავიდეთო. აბა, მაშ როგორ აიტანდნენ ჩვენი კაცები ესეთ ცხოვრებას, ესენი სხვანაირი უშიშრები ყოფილან, შეაკვდებოდნენ, სისხლს შეახამდნენ და ცოლ-შვილის ნამუსის ახდას როგორ აიტანდნენ. დათანხმებულან სხვებიც და ამოსულან აქა. თავიდან ამ ადგილას გაუვალი ტყე ყოფილა, მაგრამ წყალი უნახიათ ბუნებრივი, კლდიდან გამოსული და გადაუნყვეტიათ ახლოს დასახლებულიყვნენ. მაშინ რა, სახლის აშენება დიდი ამბავი არ იყო, მორებს მოიტანდნენ ტყიდან, შორს წასვლაც არ დასჭირდებოდათ, დაადებდნენ ერთმანეთზე, დაახურავდნენ ყავარს და სახლიც მზად იყო. ესე ხის სახლები აუგიათ ჯერ ერთი-ორ კომლს, მაგრამ კუჭატნელებს დაუნგრევიათ, რათ წახვედით, უკან დაბრუნდითო – არ უშვებდნენ. მაშ რა იქნებოდა, იმედათა ჰყავდათ. ოსებს ისევ აეშენებინათ და ისევ დაუნგრევიათ ქართველებს, ესე გამეორებულა სამჯერ მაინც. მაშინ მაზრები იყო, ხოდა წასულან ეს ოსები და თელავის მაზრაში უჩვილიათ, სოფელში ამოვედით და აშენებულ სახლებს გვინგრევნო. მაზრის უფროსს უთქვამს: ერთი წადით და ნახეთ რა ადგილზე უნდათ დასახლებაო. გამოუგზავნიათ კაცი, შეუმომეზბია და აღმოჩენილა, რომ აქ თურმე სამხედრო გზა უნდა გაეყვანათ და იმის სიახლოვეს იქნებოდა სოფელი. გახარებიათ, გზის პირას კარგია, დასახლება რომ იყოს და დასახლდითო. ჯერ სამი კომლი დასახლებულა, მერე

Ossetian family's. As soon as he heard what was going on, that Ossetian ran out with a sword and hacked both Lekis into pieces. Then he summoned the village's Ossetians, said that it was impossible to stay in the village any longer and suggested they move to live separately someplace else. Our men would never put up with a life like that, they were different, brave; they'd rather sacrifice their lives, shed their blood than let anyone violate their wives and children. The others agreed and they moved up here. At first, there were just impenetrable forests in this place but they found a spring flowing from the rock and decided to settle nearby. It was no big deal to build a house, all they had to do was bring logs from the forest, they did not even have to go far, put them on top of one another, cover them with shingles and that was it. At first, a couple of families built houses that way, but the Kuchatani villagers destroyed them saying, why have you left! They refused to let them go. They needed them as protectors. The Ossetians rebuilt their houses and the Georgians destroyed them again; it happened at least three more times. Those Ossetians went to the Telavi district called *mazra* back then and complained, saying that they had come up to establish a village and they keep destroying their homes. The head of the *mazra* said, "Go and check where these people want to settle." So, they sent a man, he inspected the place and as it turned out, a military road was supposed to be built near the village. They were pleased, it was a good idea to have settlement near the road and they let them settle there. At first, three families moved up there, then they built a cart road to Kuchatani; and thus, step by step, people came up here and a half of the village became occupied. There were insects called *tzitzkanas* at the riverside, that is why they named the village Tzitzkanaant Seri (Hilly Ridge of Tzitzkanas). Many Ossetians re-

ტაჭკის გზა გაუკეთებიათ კუჭატანამდის და ესე, ნელ-ნელა ამოსულა ხალხი და ნახევარი სოფელი შეესებულა. მდინარის პირას მწერები ყოფილან, წინკანები, ამიტომ დაურქმევიათ სოფლისათვის წინკაანანთ სერი. კუჭატანშიც კი დარჩენილა ბევრი ოსი, დღესაც ცხოვრობენ, მაგრამ უკვე გადაქართველებულები არიან. ჩემი პაპა რომ ჩამოსულა ქარელიდან, სწორედ ის ნახევარი სოფელი დახვედრია. ეხლა რომ უყურებ ამ სოფელს, ამისი მეორე ნახევარი 1948-49 წლებში ჩამოსახლებულა ისევ ქარელიდან. ისე რომ, ამ სოფელს 150 წლის ისტორია აქვს. ბებიაჩემისგან ვიცი დაწვრილებით ეს ამბები.

ბებიაჩემი ერთი ძალიან ყოჩაღი ქალი იყო. ერთი თეთრი ცხენი ჰყავდა და იმას დააჭენებდა კაი ვაჟუკაცივით, ეხლაც გახსენება რომ მინდა, ისე წარმომდგება ხოლმე თვალწინ, თეთრ ცხენზე ამხედრებული, მომღიმარი სახით. რა არ ჰქონდა გადატანილი. ოსის ქალებს ხომ ისედაც და-

mained in Kuchatani, they still live there but they have all gone Georgian by now. When my grandfather arrived there from Kareli, that half of the village was already occupied. When you look at the village now, the other half was settled by those who came from Kareli in 1948-1949. Thus, the history of the village goes back 150 years. I have heard all of these stories in details from my grandmother. She was one courageous woman herself. She had one white horse and rode it like a brave lad; even today, when I try to remember her, I picture her mounted, with a smile on her face. She went through everything. Ossetian women had a very tough life as it was: a woman in labor was not allowed to give birth inside the house, it was considered a shame. She was supposed to go to the cowshed or someplace else and remain there by herself until forty days had passed so nobody could see her. My mother used to say, "Not even once during the time I've been their sister-in-law have I dined at the same table with



81. ბერიკაობა წინკაანანთსერში (ფოტო: ც. გოდერძიშვილი)
Berikaoba festivities in the village of Tzitzkanaantseri (Photo by Ts. Goderdzishvili)


ლიან განამებული ცხოვრება ჰქონდათ: მშობიარე ქალს არ შეიძლებოდა სახლში ემშობიარა, ეს სირცხვილი იყო. ბოსელში ან განმარტობით სადმე უნდა ყოფილიყო, სანამ ორმოცი დღე არ გავიდოდა და არავის არ უნდა ენახა. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, რაც მე ამათი რძალი ვარ, ჩემს მამლებთან პური არ მიჭამიაო. მამაკაცებთან სუფრაზე ქალებს რა უნდოდათ, იმათ ცალკე უნდა ეჭამათ. მამამთილს, სანამ ცოცხალი იყო, რძლის ხმა არ უნდა გაეგო. შორიდანაც რომ მოეკრა თვალი მამამთილისთვის, რძალი უნდა გაჩუმებულიყო, როგორც უმძრახი – აესე. არც თმა არ უნდა დაენახათ ქალისა. ახლა კიდევ რამდენი სხვა გაჭირვება უნდა აეტანათ ამ ჩვენს ქალებს... ბებიაჩემი მიყვებოდა ხოლმე, 30-იან წლებში პაპა გაეკულაკებინათ, კოლექტივი რომ შემოსულიყო, და წაერთმიათ სახლი, იმისთანა ქვითკირის სახლი, სოფელში რომ არავის სდგმოდა, ისეთი. ერთ ოთახში კანტორა გაეხსნათ, მეორეში სკოლა, კაცები დაეჭირათ, წაეყვანათ და მეურნეობას აშენებინებდნენ თურმე ისე, რომ უფროსი ბიძის ასავალდასავალიც კი არ სცოდნიათ მთელი 2 წელიწადი. ეს კი თავისი შვილებით, რძლებითა და იმათი ბავშვებით, ბოსელში შეეყარათ და იქ ცხოვრობდნენ. ვინ ვისი შვილი იყო, ვინ გაარჩევდაო, უვლიდნენ ბავშვებს როგორც შეეძლოთ, მაგრამ მაინც დახოციათ ყვავილით. 9 წლისა ვიყავი, როცა მეც შემხვდა. მეც და ჩემს უფროს დასაც, ერთად ვინეკით, შევყურებდით ერთმანეთს, გვეშინოდა. სულ ის ზრუნავდა ხოლმე ჩემზე, ძალიან მიყვარდა ჩემი და. ისიც, ავადმყოფობას ჩემსას უფრო განიცდიდა, ვიდრე თავისას. მე გადავრჩი, ის – ვერა.

მალე ომიც დაიწყო. სოფელში მოხუცების მეტი აღარავინ დარჩა. მამაჩემიც ნა-

my brothers-in-law."

Women did not belong at the same table with men, they were supposed to eat separately. Daughter-in-law was supposed to remain silent in her father-in-law's presence.

Even if she noticed him from afar, she had to keep her mouth shut as if she were mute, that's how it worked. A woman was not allowed to reveal her hair either. And on top of it all, women had to go through so much. My grandmother used to tell me that in the 30s they dispossessed my grandfather as a *kulak* so that they could create collective farms; they took away the house, the best house around, built with stone mortar. They opened an office in one room, a school in another. They arrested the male members of the family, took them and made them build a collective farm. They lost the trace of the elder uncle for two whole years. As it turned out, they captured him, his daughters-in-law and their children, threw them in a cowshed and had them live there. They would not make distinction between their own and somebody else's children and did their best to take care of them all. Yet, many of them had fallen victim to smallpox. I was nine when I went down with it; both my sister and I. We were lying, looking at each other in fear. She always looked after me. I loved her very much. She took my illness closer to heart



82. ერმონა, სოფელი წიწკანაანტსერი (ფოტო: ტ. გოდერძიშვილი)
Ermona, The village of Tzitzkanaantseri
(Photo by Ts. Goderdzishvili)

იყვანეს ფრონტზე. იმდენი მინდვრები, ყანები ასაღები იყო და ესე თერთმეტი წლის ბალლი მოხუც კაცებთან ერთად გავედი სამუშაოდ. მეტი რა გზა მქონდა. კოლექტივში პურს აცხოვდნენ და თუ გახვიდოდი სამუშაოდ, ერთ კილო პურს მოგცემდნენ, თუ არადა, პურს ვინ დაგანახებდა. ხოდა, მეც ხან წყალს წაფულებდი მოხუცებს, როცა თიბავდნენ, ხან პურს. ხან ულუებს ვგრეხდი კონების შესაკრავად, ხან უკვე შეკრულ კონებს ავაყულებდი და ისინიც, რასაც თითონ იწერდნენ შრომადღებზე, მეც იმას მაძლევდნენ. მერე თამბაქოში გადავედი. სანამ სკოლაში წავიდოდი, იქამდე თამბაქოს მოვამტვრევდი, მოვიტანდი და დავალაგებდი სიგრილეში. სკოლიდან რომ მოვიდოდი, სანამ დაბნელებოდა, ვიჯექი და იმასა ვნემსავდი, დაჩხვლეტილი მქონდა ერთავად თითები. ახლა ვთქვი, ისევ მკა ვისწავლომეთქი, ვუყურებდი ეს ბალლი, როგორ მკიდნენ ქალები. მეც გავიკეთე ხის სათითები, ნამგალზე რომ ხელები არ დამჭროდა და ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მერე უკვე მართლაც ვისწავლე თიბვაცა და მკაც, ცოტა გამიადვილდა მუშაობა, ესე ვიმუშავე 1942 წლიდან 1950 წლამდე...

...როცა ეს ქართველი კაცი გამოჩნდა, ქვრივი ვიყავი ორი შვილით. ორი წელი მდია, მდია და ბოლოს ბედი იყო თუ უბედურება, შევეუღლდით. დანება სახლკარს თავი, წამოიღო თავისი ბარგი-ბარხანა და ამოვიდა ჩვენთან საცხოვრებლად. ეჰ, რა ვიცი, რა სიმწარე არ გვაჩვენეს, რას არ გვაგონებდნენ, კინალამ თავები დაგვახოცინეს, მაგრამ სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა, ის ადამიანებს შორის არის და არც ოსი იცის და არც ქართველი..."

than her own. I survived, she did not.

Soon, the war broke out. Nobody, save the elderly, was left in the village. They took my father to war, too. There were crops in the fields to harvest, and I, a kid of eleven or so, went to work with the elderly. What else was I supposed to do? They baked bread in the collective farm and they gave one kilo of it to those who went to work. Otherwise, there was no chance they would give out bread. So, I carried water or bread for the elderly harvesting in the field; I also tied harvested ears into bunches or stacked already tied bunches. They had me receive the same wage as they did. Then I went to work into tobacco plantations; before going to school, I would pick some tobacco leaves, bring them home and store them in a cool place. After I returned from school, before it got dark, I would sit and put holes in them with a needle; my fingers were all pricked. Then I decided it would have been better if I learned to sickle; I, this little child, watched the women sickle. So, I put on a pair of gloves, too, so I would not cut my hands with a sickle, and after a few tries, I learned both how to sickle and scythe; it became easier to work. I worked that way from 1942 to 1950...

...When that Georgian man appeared, I was a widow with two children. He courted me for two years and finally we got married, for better or worse. He left his home, picked up his belongings and moved up here to live with us. Oh, I don't know, they put us through so much, they made us listen to so many things, nearly made us kill one another; nevertheless, love prevailed, it exists between people and makes no distinction between Ossetians and Georgians..."



ფონდი ტასო
Tase Foundation

Supported by the Open Society Institute

საერთაშორისო ოპენ სოციეტი
OPEN SOCIETY FOUNDATION



BIRLIKDƏ • SƏBƏLƏ • İYUMƏ
садахъ • вместе • ერთად

ЭТНИКЪОН БИРԷХУՅԻՅՈՆԴԶԻՆԱԴԻ
 ԲԵՐԵԳԲՈՆ ԿՂԱԽԵԿԻ
 შარსაჯტრა ინსანუნ მტუნლულ კახეთა
 Батли-батлиял миллатазул
 дандельараб празник Кახетиялда
 ეთნიკური მრავალფეროვნების ზეივი კახეთში
 Qaxetda etnik rəngarəngliyin təntənəsi
 ПРАЗНИК ЭТНИЧЕСКОГО РАЗНООБРАЗИЯ В КАХЕТИ

